თემა 11

სათამაშოები

Игрушки

ამოცანები:

- ახალი სათამაშორების სახელების გაცნობა - ბურთი, თოჯინა, დათუნია, კომპიუტერი, სათამაშო მანქანა, კუბიკები, კონსტრუქტორი
- გამოთქმების გააზრება და გამოყენება: „მე მიყვარს“; „ჩემი საყვარელი სათამაშოა“
- არსებითი სახელების გაცნობა და გამეორება: დიდი, პატარა, მრგვალი, კვადრატული, მაგარი, რბილი
- „მსგავსი“ და „განსხვავებული“ კონცეფციების გაცნობა
- ზმნების „ჩაეხუტე“, საყვარელი, ვითამაშოთ - გაცნობა
- ბავშვების წახალისება საკუთარი აზრის და ემოციების გამოთქმისათვის

აქტივობა 1: საიდუმლო ჩანთა/ყუთი

შეიტანეთ ოთახში დიდი ჩანთა ან ყუთი, რომელში დაახლოებით 5-6 სათამაშო იმალება. შეიძლება გამოიყენოთ თოჯინა, ბურთი, მანქანა, კუბიკი, დათუნია. გამოიყენეთ მიმიკა და ჟესტიკულაცია, რომ გამოიყენეთ სიტყვები: ჩავეხუტე, საყვარელი, ვითამაშოთ. მოიაწყვეთ ნამდვილი შოუ, როდესაც ჩაყოფთ ხელს ყუთში/ჩანთაში და თითქოს ეძებთ სათამაშოს ამოსაღებლად. იკითხე: „აბა, ეს რა არის აქ?“ როდესაც რომელიმე სათამაშოს ხელს მოჰკიდებთ, კიდევ იკითხეთ? „აბა, რა მიჭირავს?“ იკითხეთ ისე, რომ არ აჩვენოთ ბავშვებს სათამაშო და მიეცით გასაღებები, მანიშნებლები, რომ გამოიცნონ, რა გიჭირავთ ხელში. აქტივოების იდეა ისაა, რომ ბავშვები მიხვდნენ სათამაშოების დახასიათებით, თუ რა გიჭირავთ ხელში. მაგ. თუ გიჭირავთ დათუნია, შეგიძლიათ თქვათ: ის რბილია, პატარაა და ფუმფულაა. შეგიძლია ჩაეხუტო. რა იქნება? „დიახ, ეს დათუნიაა“! მას შემგ რაც ყველა სათამაშოს ამოიყვანთ, მიეცით ბავშვებს საშუალება რომ თვითონ ამოიღონ სათამაშოები ერთმანეთისთვის იგივე წესით.

აქტივობა 2: გამქრალი სათამაშოები

აიღეთ ლანგარი ან სხვა ბრტყელი ნივთი, დადეთ იატაკზე. დადეთ მასზე იგივე სათამაშოები, ოღონდ დაამატეთ სხვებიც. საჭიროა, რომ ლანგარი ისე იდოს, რომ შეუმჩნევლად შეძლოთ იქიდან ერთი სათამაშოს გამოცურება. ამიტომ, სჯობს, რომ ნაჭერი გადააფაროთ მას და ბავშვებს სთხოვოთ, რომ რამდენიმე წამით, სანამ სათამაშორს იღებთ, თვალები დახუჭონ. თავიდან ავარჯიშეთ ბავშვები სათამაშოების სახელების დასახელებაში, შემდეგ კი,

შეუმჩნევლად ამოიღეთ თითო სათამაშო. სთხოვეთ ბავშვებს დაასახელონ, რომელი სათამაშო „გაქრა“. ჩაანაცვლეთ სათამაშოები მანამდე, სანამ ბავშვები არ გაიწაფებიან მათი სახელების დასახელებაში. შეგიძლიათ თავად ბავშვებს „გააქრობინოთ“ სათამაშოები, რათა მათ იკითხონ: „აბა, რომელი სათამაშო გაქრა?“ „დიახ, დათუნია გაქრა“. „არა, თოჯინა არ გამქრალა“

აქტივობა 4: მაჩვენე და მომიყევი

სთხოვეთ ბავშვებს, რომ ბაღში საყვარელი სათამაშო მოიტანონ. თუ ბევრი ბავშვია, შეგიძლიათ სთხოვოთ მათ, რომ თავის მეწყვილეს აჩვენოს სათამაშო და მოუყვეს მის შესახებ. ამ დროს დაახასიათებისას ეცადეთ, რომ ბავშვებმა გამოიყენონ ზედსართავები: მრგვალი, მაგარი, რბილი, კვადრატული, ფუმფულა, დიდი, პატარა. შეაგროვეთ საყვარელი სათამაშოები, აიღეთ თითოეული და სთხოვეთ ბავშვებს გამოიცნონ, ვინ რომელი მოიტანა. სთხოვეთ ბავშვებს, რომ გიპასუხონ, „რომელია მათი საყვარელი სათამაშო“. სთხოვეთ ბავშვებს გააგრძელონ: „მე მიყვარს ჩემი სათამაშო, რომელიც ..... „ შესაძლებელია მშობლიურ ენაზე სიტყვების, ფრაზების გამოყენებაც, რათა ბავშებმა შეძლონ სათამაშოსთან დაკავშირებული ემოციების უკეთ გამოვლენა.

აქტივობა 5: გამოარჩიე განსხვავებული

იმისათვის, რომ ბავშვები ზედსართავი სახელების გამოყენებაში ავარჯიშოთ, გამოიყენეთ მარტივი სამუშაო ფურცელი, რომლის მომზადება თავადაც შეგიძლიათ. (იხ. სამუშაო ფურცელი 1). დაარიგეთ სამუსაო ფურცლები ბავშვებს შორის და პირველი ან პირველი ორი რიგი მათთან ერთად გააკეთეთ. ამისათვის კი, იმავდრულად დახატეთ დაფაზე სამი ბურთი და ერთი სახლი და თან გაიმეორეთ: სამი მრგვალი ბურთი და ერთი ოთკუთხა სახლი. ახლა კი, ოთკუთხა სახლი, რომელიც მწკრივში განსხვავებულია, წრით შემოხაზეთ. ბავშვებმა უნდა შეძლონ თქმა, რომელია მათ ფურცლებზე განსხვავებული სურათი და თან ახსნან. „ბურთები მრგვალია, სახლი ოთხკუთხაა.

მიეცით ბავშვებს საშუალება, რომ მეორე და მესამე რიგი თვითონ გააკეთონ წყვილებში ან ჯგუფებში. შემდეგ კი, სთხოვეთ მათ, რომ ისევ ახსნან განსხვავებები დაადგინონ, რომ რეალურად სათამაშოები განსხვავედებიან.

შემდეგ სთხოვეთ ბავშვებს, რომ ცარიელ მეოთხე რიგში დახატონ სამი პატარა და ერთი დიდი დათუნია. ამასთან, თუ ზოგიერთს გაუჭირდა გაგება, დახატეთ დაფაზე იგივე, რომ ბავშვებს ჰქონდეთ მოდელი.

მეხუთე მწკრივში კი სთხოვეთ ბავშვებს დახატონ სამი კვადრატული კომპიუტერი და ერთი თოჯინის მრგვალი სახე. ასევე აჩვენეთ, სახის მოდელი.

ახლა კი, სთხოვეთ, რომ მეწყვილის მეგობრის ფურცელზე შემოხაზონ განსხვავებული თოჯინები და ახნან.

აქტივობა 6: კატეგორიზება

დაურიგეთ ბავშვებს სათამაშოების კატალოგის თითო გვერდი. სთხოვეთ, რომ ამოჭრან იქ მოცემული სათამაშოები, დაახარისხონ და დიდი პოსტერზე დააწებონ. იდეა ისაა, რომ მათ შეძლონ რომელიმე ნიშნით (ზომით, ფორმით, ფერით, სახეობით) სათამაშეობის კატეგორიზაცია. სთხოვეთ ბავშვებს ახსნან კატეგორიზების მთავარი ნიშანი. სთხოვეთ ისაუბრონ, რომელიც ამ სათამაშოებში მათი საყვარელი სათამაშო.

> ***შენიშვნა:*** *თუ ამოჭრა რთულია, შესაძლებელია, რომ ბავშვებს უკვე ამოჭრილი სათამაშოები დაურიგოთ, და მათი მითითებით პოსტერზე სათამაშოები დააწებოთ.*

აქტივობა 7:

გამოიყენეთ ბავშვების საყვარელი ლექსი, სიმღერა, მულტფილმი, რომელიც სათამაშოს, დათუნიას, კურდღელს მოიცავს. (იხ. ნიმუში).

აქტივობა 8: სხვადასხვა

შეგიძლიათ გააფერადებინოთ ბავშვებს სამუშო ფურცლები, რომლებსაც თავად გაამზადებთ. ამასთან, ფერების განსხვავების მიხედვით ასაუბროთ, რა აქვთ მათ მიერ გაფერადებულ სათამაშოებს ერთნაირი და განსხვავებული. (მაგ. სხვადასხვა ფერია, ორივე მრგვალია, ა.შ.) (იხ. ნიმუშები)

რესურსები:

- დიდი ყუთი ან ჩანთა სათამაშოებისათვის
- სხვადასხვა პატარა სათამაშო
- სათამაშოების კატალოგი
- ლანგარი
- ნაჭერი, რომ სათამაშოებზე გადახურვა შევძლოთ

სამუშო ფურცლები - 2

მულტფილმი: რატომ ბზუის ფუტკარი.